შპს გეზრიუდერ ვაის

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2

ფინანსური ანგარიშგება:

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 19
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 20
6. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან 23
7. თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები 23
8. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები 24
9. სხვა საოპერაციო ხარჯები 24
10. საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა 24
11. ძირითადი საშუალებები 25
12. სავაჭრო მოთხოვნები 26
13. ფული და ფულის ეკვივალენტები 27
14. მიღებული სესხები 27
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 28
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28
17. პირობითი ვალდებულებები 29
18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები 30

მმართველობის ანგარიშგება 31

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0108 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გებრიუდერ ვაისის ხელმძღვანელობას და დამფუძნებელს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **შპს გებრიუდერ ვაისის** (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში
ისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის
ოგანიზაციაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ "საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

7 მაისს 2025

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0108 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გებრიუდერ ვაისის ხელმძღვანელობას და დამფუძნებელს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს გებრიუდერ ვაისის (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" ნევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის ორგანიზაციაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ "საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

7 მაისს 2025

	შენიშვნა	**2024**	**2023**
საოპერაციო შემოსავალი			
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	6	107,185,840	105,211,006
სხვა საოპერაციო შემოსავლები		486,812	376,861
		107,672,652	**105,587,867**
საოპერაციო ხარჯი			
შესყიდული მომსახურებების ღირებულება		(83,590,273)	(83,720,966)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები	7	(7,349,766)	(5,961,749)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,120,018)	(1,754,368)
საწვავის ხარჯები		(802,386)	(878,340)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	8	(2,643,528)	(2,110,512)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(3,638,410)	(2,966,258)
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება	12	24,677	(72,517)
საოპერაციო მოგება		**7,552,948**	**8,123,157**
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	10	29,532	(68,761)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		762,084	(312,494)
მთლიანი სრული შემოსავალი		**8,344,564**	**7,741,902**
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების ნამეტი		213,832	-
სულ სრული შემოსავალი		**8,558,396**	**7,741,902**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 7 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ::

გენერალური დირექტორი _____ ა. ხარლამოვი

ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი _____ ე. ხუბულური

10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს გეზრიუდერ ვაის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი			
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	6	107,185,840	105,211,006
სხვა საოპერაციო შემოსავლები		486,812	376,861
		107,672,652	**105,587,867**
საოპერაციო ხარჯი			
შესყიდული მომსახურებების ღირებულება		(83,590,273)	(83,720,966)
თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები	7	(7,349,766)	(5,961,749)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,120,018)	(1,754,368)
საწვავის ხარჯები		(802,386)	(878,340)
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	8	(2,643,528)	(2,110,512)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(3,638,410)	(2,966,258)
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება	12	24,677	(72,517)
საოპერაციო მოგება		**7,552,948**	**8,123,157**
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	10	29,532	(68,761)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		762,084	(312,494)
მთლიანი სრული შემოსავალი		**8,344,564**	**7,741,902**
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების ნამეტი		213,832	-
სულ სრული შემოსავალი		**8,558,396**	**7,741,902**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 7 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ::

გენერალური დირექტორი _____ ა. ხარლამოვი

ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი _____ ე. ხუბულური

10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	66,602,515	43,257,683
		66,602,515	**43,257,683**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		31,650	27,982
სავაჭრო მოთხოვნები	12	8,565,261	13,099,695
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	6,402,938	4,955,508
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	229,372
		14,999,849	**18,312,557**
სულ აქტივები		**81,602,364**	**61,570,240**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		35,054,400	35,054,400
გაუნაწილებელი მოგება		15,731,993	7,387,429
გადაფასების რეზერვი		1,169,760	955,928
სულ კაპიტალი		**51,956,153**	**43,397,757**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	13,246,312	9,541,787
		13,246,312	**9,541,787**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	11,170,366	1,302,655
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	4,658,523	7,160,450
გამოუყენებელი შვებულების რეზერვი		190,221	167,591
საგადასახადო ვალდებულებები		380,789	-
		16,399,899	**8,630,696**
სულ ვალდებულებები		**29,646,211**	**18,172,483**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**81,602,364**	**61,570,240**

10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	საწესდებო კაპიტალი	**დაგროვილი მოგება/(ზარალი)**	**გადაფასების რეზერვი**	**სულ კაპიტალი**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	**35,054,400**	**(354,473)**	**955,928**	**35,655,855**
მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,741,902	-	**7,741,902**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**35,054,400**	**7,387,429**	**955,928**	**43,397,757**
მთლიანი სრული შემოსავალი	-	8,344,564	213,832	**8,558,396**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**35,054,400**	**15,731,993**	**1,169,760**	**51,956,153**

10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	**8,344,564**	**7,741,902**
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,120,018	1,754,368
ძირითადი საშუალების გასვლით მიღებული (მოგება)/ზარალი	(22,008)	19,396
საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	(24,677)	72,517
საპროცენტო შემოსავალი	(77,892)	(40,221)
საპროცენტო ხარჯი	48,360	108,982
ცვლილება გამოუყენებელი შვებულების რეზერვში	22,630	35,668
საკურსო სხვაობით გამოწვეული ეფექტი	(762,084)	379,562
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	**9,648,911**	**10,072,174**
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,725,849	(1,703,750)
მარაგები	(3,668)	3,953
საგადასახადო აქტივები	229,372	(229,372)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,051,183)	1,439,240
საგადასახადო ვალდებულებები	380,789	(142,612)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	**11,930,070**	**9,439,633**
მიღებული პროცენტები	77,892	40,221
გადახდილი პროცენტი	(1,606,670)	(66,903)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**10,401,292**	**9,412,951**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(21,760,728)	(12,361,029)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	22,008	-
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები	**(21,738,720)**	**(12,361,029)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი სესხები	(9,257,658)	(3,629,751)
მიღებული სესხები	22,810,366	9,256,320
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	**13,552,708**	**5,626,569**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	**2,215,280**	**2,678,491**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	**4,955,508**	**2,264,661**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი	(767,850)	12,356
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	**6,402,938**	**4,955,508**

10 - 30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გებრიუდერ ვაის დაარსდა 2012 წლის 22 თებერვალს თბილისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404931972 საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

GW International Holding GMBH არის კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის Gebruder Weiss Holding AG. კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები არიან გენერალური დირექტორი თომას მოზერი და აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე ხარლამოვი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება და საქონლის დასაწყობების სერვისი, რომელშიც შედის მასთან დაკავშირებული მომსახურება, როგორიცაა საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვები და ლოგისტიკა

კომპანიის იურიდიული მისამართია: ევროპის ქუჩა #4, სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებებისა (სატვირთო ავტომობილები), რომელთა აღრიცხვისთვის გამოყენებული იქნა გადაფასების მოდელი.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტის და მფლობელების მიზანია, რომ კიდევ უფრო განავითაროონ კომპანიის ბიზნეს საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

<u>ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა</u>

► ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

<u>ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია</u>

► ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;

► ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;

► ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

<u>ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</u>

► ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

► მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

► „საკუთარი მოხმარების" მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;

► ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და

► ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

► მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.

► ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.

► ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

► საწარმო არის შვილობილი კომპანია;

► საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და

► საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

სხვა

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია ძირითადად შემოსავლებს იღებს სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურებიდან, რომლის დროსაც შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში. იქიდან გამომდინარე, რომ კლიენტი მყისიერად იღებს და მოიხმარს სარგებელს რომელსაც კომპანია მომსახურების გაწევით გადასცემს.

კომპანიის მომსახურებები მოიცავს:

საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურებაში შედის საქონლის ტრანსპორტირება საქართველოს შიდა და გარე ტერიტორიაზე, როდესაც კლიენტის საქონელი არ არის განბაჟებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და, შესაბამისად, ტრანსპორტირება არ არის დღგ-ის დაბეგვრის ობიექტი.

ადგილობრივ სატრანსპორტო მომსახურებაში შედის საქონლის ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიაზე, და საქონელი გადის საბაჟო შემოწმებას (როდესაც საჭირო ხდება), ხოლო ტრანსპორტირება არის დღგ-ის დაბეგვრის ობიექტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ლოგისტიკურ მომსახურებაში შედის საქონლის შენახვა, ინვენტარის მართვა, შემომავალი/ გამავალი მომსახურება, შეფუთვა, გატარება, ეტიკეტირება და ა.შ.

როდესაც სატრანსპორტო მომსახურება არ სრულდება ერთ საანგარიშო პერიოდში, კომპანია შემოსავალს აღიარებს ტრანსპორტირების სტადიის მიხედვით, რაც განისაზღვრება ტრანსპორტირებაზე დახარჯული დღეების შეფარდებით მომსახურების დასრულების დღეების მოსალოდნელ საერთო რაოდენობაზე (გამოყენებული რესურსების მეთოდით). ეს ითვლება მომსახურების გადაცემის სამართლიან გამოხატვად, რადგან კონტრაქტები თავდაპირველად ფასდება პროექტების დასრულებისთვის მოსალოდნელი დღეების საფუძველზე და, შესაბამისად, წარმოადგენს იმ თანხას, რომლის მიხედვითაც კომპანიას ექნებოდა უფლება მისი შესრულებიდან გამომდინარე.

ყველა შეთანხმებაში კომპანია არის მარწმუნებელი და შემოსავალს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა აგენტის მომსახურებისა, როგორც საბაჟო მომსახურებები და დაზღვევა, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო საფუძველზე.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული შემოსავლიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით. მომხმარებელი თანხას იხდის წინასწარ განსაზღვრულ თარიღში, რომელიც წარმოადგენს ტრანსპორტირების დასრულების და მომხმარებლის თანხმობის დროს.

ლოგისტიკური მომსახურების ინვოისები გამოიწერება ყოველთვიურად და ანგარიშსწორების მიღება ხორციელდება ძირითადად 30 დღის ვადაში. კომპანიას არ აქვს არცერთი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ცვალებად ანაზღაურებას.

კომპანიას არ აქვს ისეთი ხელშეკრულება სადაც მომსახურების გაწევის პერიოდი და მომხმარებლის მიერ გადახდები აჭარბებს ერთ წელს. აქედან გამომდინარე კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასს ფულის დროითი ღირებულების გავლენით. კომპანიას ასევე არ გააჩნია კონტრაქტით განსაზღვრული უნაღდო ანაზღაურება.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია ანაწილებს გარიგების ფასს თითოეული შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით, ფიქსირებული ფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ყველა მომსახურებასთან დაკავშირებულ საზღაურს.

ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები

დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან მოიცავს გაყიდვებისა და იურიდიული დეპარტამენტების თანამშრომლების ფიქსირებულ ხელფასებს.

აღნიშნული დანახარჯები არ არის აღიარებული როგორც აქტივი და აღიარებულია როგორც ხარჯი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელსაც საწარმო მაინც გასწევდა, იმის მიუხედავად, გაფორმდებოდა თუ არა ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ აღიარდება ცალკე აქტივად, რადგან ასეთი დანახარჯები არის ბასს 16 ძირითადი საშუალებების მოქმედების სფეროში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ქვემოთ განხილული ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით. კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავალის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების ზარალები მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნებისთვის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9 ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში კომპანია ახდენს მოთხოვნის გადაუხდელი ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ კომპანიამ განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც კომპანია იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით.

იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც კომპანია განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

დროთა განმავლობაში კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ვისთანაც კომპანიას ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები დაკავშირებულია გადახდის პირობების გაუმჯობესებასთან და არ ცვლის მისაღები ანაზღაურების ოდენობას.

ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კომპანია არ ფლობს ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

რეალური ღირებულებით შეფასება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება.

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და მიღებული სესხებისთვის, მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული

იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა

მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშულება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე, გარდა სატვირთო მანქანებისა, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში `გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
შენობა და ნაგებობები	10-40
საწყობის დანადგარები	4-12
სატვირთო ავტომობილები	6-9
ავტომობილები	5-6
სხვა	4-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასება მოხდეს არის თუ არა საბალანსო ღირებულება მეტი შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებაზე. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღაირდება სხვა ხარჯების მუხლში. კომპანია მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

გადაფასების რეზერვი

სატვირთო მანქანები და ნახევრადმისაბმელიანი მანქანები შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით, პერიოდული შეფასებების საფუძველზე. გადაფასებები კეთდება საკმარისად რეგულარულად, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულების გამოყენებით შეფასებულ ღირებულებაზე. რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ღირებულების შემცირება აჭარბებს გადაფასების რეზერვის საკრედიტო ბალანსს, აღნიშნული ღირებულების შემცირება აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის ,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება.

იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხადარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს კომპანია და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო მოთხოვნები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების (გარდა სესხებისა) საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, მოკლევადიანი ბუნების გამო.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტი იღებს ყოველთვიურ რეპორტებს კომპანიის ფინანსების მაკონტროლებლისაგან, რის მეშვეობითაც იგი განიხილავს მის მიერ დანერგილი პროცესების ეფექტურობას და მის მიერ დასახული მიზნებისა და პოლიტიკის მიზანშეწონილობას.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, განმარტებულია მე-12 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ლიკვიდობის რისკის ანალიზი მოცემულია ქვევით ცხრილში. წარმოდგენილი ანალიზი დაფუძნებულია კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის შიდა ინფორმაციაზე დაყრდნობით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენენ ერთ წლამდე ლიკვიდურობას, გარდა გრძელვადიანი მიღებული სესხისა, რომლის ლიკვიდობაც 1 დან 5 წლამდეა.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	**1 წლამდე**	**1-დან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
მიღებული სესხები	12,210,321	13,817,437	2,134,242	**28,162,000**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,542,228	-	-	**4,542,228**
	16,752,549	**13,817,437**	**2,134,242**	**32,704,228**

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	**1 წლამდე**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
მიღებული სესხები	1,898,623	10,865,808	**12,764,431**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,036,987	-	**7,036,987**
	8,935,610	**10,865,808**	**19,801,418**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	**დოლარი**	**ევრო**	**გირვანქა სტერლინგი**	**სულ**
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო მოთხოვნები	1,812,017	2,275,822	4,150,295	-	**8,238,134**
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,559,439	426,824	4,416,675	-	**6,402,938**
	3,371,456	**2,702,646**	**8,566,970**	**-**	**14,641,072**
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	-	24,416,678	-	**24,416,678**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	600,058	627,983	3,297,015	17,172	**4,542,228**
	600,058	**627,983**	**27,713,693**	**17,172**	**28,958,906**
ღია საბალანსო პოზიცია	**2,771,398**	**2,074,663**	**(19,146,723)**	**(17,172)**	**(14,317,834)**

5. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	687,939	4,569,407	5,726,037	**10,983,383**
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,829,791	1,290,237	1,835,480	**4,955,508**
	2,517,730	**5,859,644**	**7,561,517**	**15,938,891**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	10,844,442	**10,844,442**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,115,388	1,299,428	4,622,171	**7,036,987**
	1,115,388	**1,299,428**	**15,466,613**	**17,881,429**
ღია საბალანსო პოზიცია	**1,402,342**	**4,560,216**	**(7,905,096)**	**(1,942,538)**

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ნივთებს და არეგულირებს მათ ცვლილებას პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებისთვის.

წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024		2023	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	**+20%**	**-20%**	**+20%**	**-20%**
აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	414,933	(414,933)	912,043	(912,043)
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(3,829,345)	3,829,345	(1,581,019)	1,581,019
გირვანქა სტერლინგის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(3,434)	3,434	-	-

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები (მე-14 შენიშვნა).

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტიან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში:

	2024		2023	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	**პროცენტის შემცირება 1%-ით**	**პროცენტის ზრდა 1%-ით**	**პროცენტის შემცირება 1%-ით**
მოგება/(ზარალი)	(95,245)	95,245	(15,649)	15,649

5. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ ზარალებს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

6. შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

კომპანიის ამონაგები კატეგორიების მიხედვით წარდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება	95,872,739	95,235,836
ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება	8,524,061	7,066,641
ლოგისტიკური მომსახურება	2,789,040	2,908,529
საქონლის ან მომსახურების გადაცემის დრო: დროთა განმავლობაში	**107,185,840**	**105,211,006**

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ხელშეკრულებების დიდი ნაწილი დაკავშირებულია საქონლის ტრანსპორტირებასა და ლოგისტიკურ მომსახურებებთან, რომლებიც მომდევნო 12 თვის განმავლობაში გრძელდება. კომპანია იყენებს ფასს 15-ის 121 პუნქტის ორივე პრაქტიკულ მიზანშეწონილობას. თუმცა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გარკვეული ლოგისტიკური კონტრაქტების ნაწილში:

- ხელშეკრულების ვადა აღემატება ერთ წელს; და
- კომპანიას მომხმარებლისგან ანაზღაურების მიღების უფლება არ აქვს ისეთი ოდენობით, რაც უშუალოდ შეესაბამება მოცემული თარიღისთვის საწარმოს მიერ დასრულებული სამუშაოს ღირებულებას მომხმარებლისთვის

გარიგების ფასი დაკავშირებული დაუკმაყოფილებელ ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილებელ შესასრულებელ ვალდებულებებთან არ მოიცავს შეზღუდულ ცვალებად ანაზღაურებას. მომავალში ლოჯისტიკური მომსახურებიდან ასაღიარებელი ამონაგების ოდენობა ასეთი ხელშეკრულებებიდან, რომელთა ფარგლებშიც მოხდება დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილება, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ერთ წლამდე	2,364,732	1,719,218
1-დან 5 წლამდე	2,876,697	-
	5,241,430	**1,719,218**

7. თანამშრომელთა სარგებელი და დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები

	2024	2023
ხელფასები	(5,116,042)	(3,998,857)
ბონუსები	(877,198)	(908,969)
დაქირავებულ მომუშავეთა კომპენსაციები	(771,401)	(591,204)
სხვა სარგებელი	(585,125)	(462,719)
	(7,349,766)	**(5,961,749)**

უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაციები გაშიფრულია მე-16 შენიშვნაში.

8. მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები წარმოადგენს მშობელი კომპანიისგან მიღებულ შემდეგ მომსახურებებს: ბუღალტრული სისტემის ორგანიზება, ბუღალტრული ჩანაწერების განხორციელება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
იჯარა	(778,513)	(578,198)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(463,572)	(346,485)
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(395,107)	(382,979)
მცირეფასიანი ინვენტარი	(364,969)	(400,251)
რემონტის ხარჯი	(356,068)	(389,297)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(343,019)	(60,046)
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები	(328,353)	(262,515)
დაზღვევა	(187,516)	(182,144)
მივლინება	(136,805)	(107,863)
დაცვის ხარჯი	(116,568)	(96,737)
სხვა	(167,920)	(159,743)
	(3,638,410)	**(2,966,258)**

10. საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი ბანკის მიმდინარე ანგარიშებიდან	77,892	40,221
საპროცენტო ხარჯი		
Gebrüder Weiss Gesellschaft m.b.H	(1,513,126)	(141,670)
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	(269,825)	(61,746)
	(1,782,951)	**(203,416)**
გამოკლებული განსაკუთრებულ აქტივზე პროცენტის კაპიტალიზაცია	**1,734,591**	**94,434**
სულ საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	**29,532**	**(68,761)**

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატვირთო მანქანები	საწყობის აღჭურვილობა	ავტომობილები	სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	**13,256,260**	**24,542,559**	**-**	**938,405**	**5,052,969**	**479,525**	**1,421,746**	**45,691,464**
შემოსვლა	-	-	9,735,101	-	519,284	192,734	80,634	**10,527,753**
გასვლა	-	-	-	(16,482)	(85,047)	-	(3,252)	**(104,781)**
2023 წლის 31 დეკემბერი	**13,256,260**	**24,542,559**	**9,735,101**	**921,923**	**5,487,206**	**672,259**	**1,499,128**	**56,114,436**
შემოსვლა	138,868	-	21,020,932	-	2,685,999	205,622	1,199,598	**25,251,019**
მოძრაობა დაუმთავრებელ მშენებლობაზე*	-	28,820,068	(28,820,068)	-	-	-	-	**-**
გადაფასების ეფექტი	-	-	-	(24,857)	-	-	-	**(24,857)**
გასვლა	-	-	-	-	-	(157,947)	-	**(157,947)**
2024 წლის 31 დეკემბერი	**13,395,128**	**53,362,627**	**1,935,965**	**897,066**	**8,173,205**	**719,934**	**2,698,726**	**81,182,651**
დაგროვილი ცვეთა								
2022 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(6,152,269)**	**-**	**-**	**(3,560,398)**	**(307,319)**	**(1,167,784)**	**(11,187,770)**
ცვეთა	-	(838,754)	-	(119,683)	(555,896)	(79,387)	(160,648)	**(1,754,368)**
გასვლა	-	-	-	338	85,047	-	-	**85,385**
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(6,991,023)**	**-**	**(119,345)**	**(4,031,247)**	**(386,706)**	**(1,328,432)**	**(12,856,753)**
ცვეთა	-	(895,290)	-	(119,345)	(555,074)	(77,612)	(472,699)	**(2,120,020)**
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	238,690	-	-	-	**238,690**
გასვლა	-	-	-	-	-	157,947	-	**157,947**
2024 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(7,886,313)**	**-**	**-**	**(4,586,321)**	**(306,371)**	**(1,801,131)**	**(14,580,136)**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 31 დეკემბერი	**13,256,260**	**17,551,536**	**9,735,101**	**802,578**	**1,455,959**	**285,553**	**170,696**	**43,257,683**
2024 წლის 31 დეკემბერი	**13,395,128**	**45,476,314**	**1,935,965**	**897,066**	**3,586,884**	**413,563**	**897,595**	**66,602,515**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიწისა და შენობების საბალანსო ღირებულება, შესაბამისად 2,559 ათასი და 45,476 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,559 ათასი და 17,551 ათასი ლარი) წარმოადგენს მიღებული სესხების უზრუნველყოფას მესამე მხარისთვის (იხ. შენიშვნა 14).

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 4,156,335 და 2,572,134 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები, შესაბამისად, რომლებიც სრულად გაცვეთილია თუმცა კვლავ გამოიყენება კომპანიის მიერ.

11. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სატვირთო და ნახევრადმისაბმელიანი ავტომანქანების შეფასება განხორციელდა 2024 წლის 31 დეკემბერს. კომპანიის მიერ სატვირთო და ნახევრადმისაბმელიანი ავტომანქანები შეფასებულია საბაზრო ღირებულებით. რეალური ღირებულების შეფასება კლასიფიცირებულია რეალური ღირებულების შეფასების იერარქიის მეორე დონეზე, შეფასებაში გამოყენებული კორექტირებების გამო. რეალური ღირებულება განისაზღვრა ბოლო ტრანზაქციების საბაზრო ფასების საფუძველზე ან მსგავსი სატვირთო მანქანების და ნახევრად მისაბმელიანი მანქანების გამოქვეყნებული ფასების შესაბამისად.
კომპანიას, რომ არ ჰქონოდა გამოყენებული რეალური ღირებულების შეფასების მეთოდი, სატვირთო მანქანების ღირებულება (შეფასებული ისტორიული ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალები) იქნებოდა 59,413 და 88,078 ლარი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლების შესაბამისად.

(*) - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუმთავრებელი მშენებლობაზე არსებული მოძრაობა სრულად წარმოდგენილია ახალი ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობაზე გაწეული დანახარჯებით. აქტივი ექსპლუატაციაში შევიდა 2024 წლის დეკემბრიდან. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 14 და შენიშვნა 10.

12. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	233,976	198,004
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	8,046,131	10,908,324
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(41,973)	(122,945)
	8,238,134	**10,983,383**
არაფინანსური მოთხოვნები		
სხვა მოთხოვნები	327,127	2,116,312
სულ	**8,565,261**	**13,099,695**

კომპანია არ ფლობს რაიმე სახის ეუზრუნველყოფას. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში:

	2024	2023
1 იანვარი	**(122,945)**	**(97,932)**
ზრდა	(71,923)	(72,517)
ამობრუნება	96,600	-
წლის გაუფასურების ზარალი	**24,677**	**(72,517)**
ჩამოწერილი მოთხოვნები	56,295	47,504
31 დეკემბერი	**(41,973)**	**(122,945)**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი სრულად წარმოდგენილია მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 77,892 და 40,221 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად. ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ნაშთზე ერიცხება საპროცენტო სარგებელი. დოლარის ანგარიშზე საპროცენტო განაკვეთი არის 0.25%, ხოლო ლარის ანგარიშებზე - 5%. საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით აღნიშნული პროცენტები სრულად მიღებულია კომპანიის მიერ.

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

14. მიღებული სესხები

	31.12.2024	31.12.2023
Gebruder Weiss Ggesellschaft m.b.H	14,784,633	9,591,554
EBRD	9,632,045	1,252,888
	24,416,678	**10,844,442**

ყველა სესხი აღებულია ევროში. სააქციო საზოგადოება GW International Holding GMBH -სგან მიღებული სესხი არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. EBRD-საგან აღებული სესხის საპროცეტო განაკვეთი ცვლადი მონაცემია და შემდეგნაირად გამოითვლება: ევროზონის ბანკთაშორის ბაზარზე ნაგულისხმევი პროცენტის დადგენის დღეს შეთავაზებული წლიური საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტისთვის სესხის ვალუტაში ან, თუ ბაზრის ჩავარდნის პერიოდი დადგა, მაშინ განაკვეთი, რომელიც EBRD-ს მიერ გონივრულად მიჩნეული წყაროდან მიღებული სესხის შესაბამის ნაწილის დაფინანსებაზე გაწეულ ხარჯს გამოხატავს, როგორც პროცენტულ განაკვეთს წელიწადში.

2023 წლის 9 აგვისტოს კომპანიასა და Gebruder Weiss GmbH შორის გაფორმდა ახალი სესხის ხელშეკრულება 8,000,000 ევროს მოცულობის საკრედიტო ხაზზე, წლიური 7%-ანი საპროცენტო განაკვეთით, საიდანაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული იყო 3,207,000 ევრო, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი იყო სრულად ათვისებული.

2024 წლის 14 მაისს კომპანიასა და EBRD შორის გაფორმდა ახალი სესხის ხელშეკრულება 8,000,000 ევროზე. წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა, როგორც ეს აღწერილია ზემოთ.

2024 და 2023 წლებში მიღებული სესხების მიზანი იყო ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობის დაფინანსება. შესაბამისად, კომპანიამ სესხებთან დაკავშირებული დანახარჯები დააკაპიტალიზა, რადგან ისინი პირდაპირ მიეკუთვნებოდა კვალიფიციურ აქტივის მშენებლობას, როგორც ეს მოთხოვნილია ბასს 23-ის შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშენებლობა დასრულებულია. დამატებითი ინფორმაცია სესხის სარგებლების დანახარჯების კაპიტალიზაციასთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 10.

მიწები და შენობები არის EBRD-გან (როგორც პირველი მფლობელი) და GW International Holding Gmbh -სგან (როგორც მეორე მფლობელი) მიღებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 11.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	**10,844,442**	**4,905,119**
ფულადი მუხლები		
მიღებული სესხების ზრდა	22,810,366	9,256,320
გადახდილი ძირი	(9,257,658)	(3,629,751)
გადახდილი პროცენტი	(1,606,670)	(161,337)
არაფულადი მუხლები		
საპროცენტო ხარჯი	1,782,951	203,416
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(156,753)	270,675
31 დეკემბერი	**24,416,678**	**10,844,442**

14. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

კომპანიას აქვს შემდეგი შესასრულებელი ვალდებულებები (კოვენანტები) EBRD-ის სესხთან დაკავშირებით:

ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი. მსესხებელი ვალდებულია 2014 წლის 30 ივნისიდან ყოველთვის, შეინარჩუნოს ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი (დათვლილი განვლილი 12 თვის მაჩვენებლებზე) არანაკლებ 1.2.

ფინანსური ვალის EBITDA- ს თანაფარდობა. მსესხებელი ვალდებულია 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ყოველთვის , შეინარჩუნოს კოეფიციენტი „ ა) ფინანსური ვალი დათვლილი ფინანსური კვარტლის ან ფინანსური წლის ბოლო თარიღისთვის ბ) EBITDA დათვლილი განვლილი 12 თვის მონაცემებზე ფინანსური კვარტლის ან ფინანსური წლის ბოლო თარიღისთვის, არაუმეტეს 3.0.

ფინანსური ვალის კაპიტალთან თანაფარდობა. მსესხებელი ვალდებულია 2014 წლის 30 ივნისიდან ყოველთვის, შეინარჩუნოს კოფიციენტი: ა) ფინანსური ვალი დათვლილი ფინანსური კვარტლის ან ფინანსური წლის ბოლო თარიღისთვის ბ) კაპიტალი (გუდვილის გამოკლებით), არაუმეტეს 1.0.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა კოვენანტი დაკმაყოფილებულია, გარდა ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტის. შედეგად EBRD-ის დარჩენილი სესხის ნაწილი წარდგენილია მიმდინარე ვალდებულებებში.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	399,606	442,085
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	3,507,286	6,017,958
სახელფასო ვალდებულებები	635,336	576,944
	4,542,228	**7,036,987**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	116,295	123,463
	4,658,523	**7,160,450**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024			2023		
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	უმაღლესი მენეჯმენტი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	უმაღლესი მენეჯმენტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,184	230,792	-	82,622	115,382	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	391,976	7,630	-	168,696	273,389	-
მიღებული სესხები	14,784,633	-	-	9,591,554	-	-

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2024			2023		
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	უმაღლესი მენეჯმენტი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	უმაღლესი მენეჯმენტი
სრული შემოსავლის ანგარიშგება						
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	5,458,847	911,163	-	9,272,710	842,920	-
შესყიდული მომსახურებები	(1,386,137)	(3,356,421)	-	(1,261,385)	(2,557,935)	-
ფინანსური ხარჯი	(1,513,126)	-	-	(46,691)	-	-
მმართველობით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(2,643,528)	-	-	(2,110,511)	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(29,304)	(6,127)	(9,579)	(56,226)	(58,453)	(10,484)

უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელო	(557,078)	(527,702)

17. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება.

მმართველობითი ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის კანონის შესაბამისად, ანგარიშგება და აუდიტი (მუხლი 7) ორგანიზაციას აქვს ვალდებულება მოამზადოს და წარუდგინოს მმართველობითი ანგარიშგება სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს, დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიშთან ერთად, არაუგვიანეს მომდევნო წლის საანგარიშგებო პერიოდის 1 ოქტომბრამდე. ორგანიზაციას აღნიშნული ვალდებულება შესრულებული აქვს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით.

დივიდენდის განაწილება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება. პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

მომავალში, განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 2,359,799 ლარი.

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს გებრიუდერ ვაის

2024 წელი

შინაარსი:

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ 33
კომპანიის სამომავლო გეგმები 35
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური შედეგების მაჩვენებლები 36
ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები 37
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ 38

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

შპს გებრიუდერ ვაისი დაარსდა 2012 წლის 22 თებერვალს ქ.თბილისში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი არის GW International Holding GMBH.

შპს გებრიუდერ ვაისი არის ავსტრიული წარმოშობის კომპანია, რომელიც ჯგუფში შემავალ კომპანიებთან ერთად ახორციელებს სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ მომსახურებას. თავად ბრენდს ნახევარ ათასწლეულზე ხანგრძლივი ისტორია აქვს.

8,000-ზე მეტი თანამშრომლით, საწარმოს კუთვნილებაში არსებული 180 ობიექტით მსოფლიოს 35 ქვეყანაში, (შპს გებრიუდერ ვაისის გლობალური ქსელი ფლობს ოპერაციულ შენობასა და ოფისს ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, სომხეთში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, ჩეხეთში, საქართველოში, უნგრეთში, თურქმენეთში, ყაზახეთში, მაკედონიაში, ჩერნოგორიაში, რუმინეთში, სერბეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, სინგაპურში, თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, კანადაში, იაპონიაში, ჩინეთში, ჰონკონგში, ტაივანში, აშშ, არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და ვიეტნამში).შპს „გებრიუდერ ვაისი“ ერთ-ერთი ლიდერია ევროპის წამყვან სატრანსპორტო და ლოგისტიკურ კომპანიებს შორის.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო (საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება მსოფლიოს სხვადასხვა მიმაართულებით, ასევე ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება ქვეყნის მაშტაბით) და ლოჯისტიკური მომსახურება (ტვირთების დამუშავება, შენახვა, დაცლა/დატვირთვა).

შპს გებრიუდერ ვაისი ქ.თბილისში ევროპის ქუჩა N4 ფლობს და ოპერირებას უწევს საბაჟო საწყობს, სადაც ხდება ევროპიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოსული ნაკრები ტვირთების კონსოლიდირება და მათი სხვადასხვა რეჟიმში დასაწყობება ან ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე. იმპორტირებული ტვირთების გარდა, შპს გებრიუდერ ვაისი ასევე ემსახურება ყველა სახის საბაჟო რეჟიმში მოქცეულ ტვირთებს.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს ორგანიზაციის საქმიანობის ლოგიკის გააზრებას და განსაზღვრავს კომპანიაში არსებულ ყველა ფორმალურ ურთიერთობას.

შპს გებრიუდერ ვაისის ორგანიზაციული სტრუქტურა ოპტიმალურია მის სიდიდესთან შედარებით:



Process owner:	GW_Georgia	Page:	1 of 1
Last modified by:	mgo210 08.10.2024	Valid from	01.01.2017
File name:	GW_Georgia_Organisational_Structure	Version Control:	V 0.1

პერსპექტიული მიდგომითა და ინოვაციური იდეებით, კომპანია მომხმარებელთან ერთად მიისწრაფის მომავლისაკენ. როგორც ლოგისტიკის სპეციალისტები, GW ოპტიმიზაციას ახდენს და მართავს მიწოდების ჯაჭვს მსოფლიოს მასშტაბით. შპს გებრიუდერ ვაისი (GW) საერთაშორისო ქსელის მეშვეობით გთავაზობთ გლობალურ გადაწყვეტილებებს. კომპანიის უმთავრესი მიზანია, მომხმარებლებს შესთავაზოს საუკეთესო სერვისი.

კომპანიაში დანერგილია ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოსცდაცვითი და ხარისხის მართვის სისტემები როგორც გლობალურ კორპორატიულ პოლიტიკიდან გამომდინარე, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში.

შპს გებრიუდერ ვაისი 15.04.2015-დან სერტიფიცირებულია ISO:9001:2008 ხარისხის მართვის სტანდარტის შესაბამისად, რომელიც ბოლოს განახლდა 2022 წლის ივნისში. ასევე, კომპანია 2016 წლის მაისიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით იყო TAPA B სერტიფიკატის მფლობელი, რომელიც განაახლა 2021 წელს და 2023 წლის აპრილში უკვე წარმატებით გაიარა TAPA A , უფრო მაღალი სტანდარტით სერტიფიცირება.

2017 წლის 26 აპრილიდან კომპანიას გააჩნია ISO:14001:2004 გარემოსდაცვითი მართვის სისტემის სერტიფიკატი, რომელიც განახლდა 2022 წლის ივნისში. კომპანიას გლობალურ დონეზე ასევე გააჩნია ISO:27001 ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიკატი, რაც გამომდინარეობს კომპანიის ინფორმაციული სისტემების თავისებურებიდან, რაც გულისხმობს ძირითადი მონაცემების და სერვერების ცენტრალურ მართვას, ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალ დონეს.

2022 წლის დეკემბერში კომპანიამ ასევე წარმატებით გაიარა GDP (Good Distribution Practice) საერთაშორისო სერტიფიცირება სატრანსპორტო ოპერაციების ნაწილში.

2023 წლის ბოლოს კომპანიამ ასევე მიიღო ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სერტიფიკატი (AEO).

კომპანია თავის საქმიანობას წარმართავს შესაბამის ადგილობრივ კანონებთან და ნორმატივებთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, რაც უზრუნველყოფს მაღალი დონის სიზუსტესა და ცდომილების დაბალ ალბათობას.

შესაბამისი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიაში დანერგილია შიდა რეპორტინგის ფორმები, როგორც მაგალითად რესურსების მოხმარების შიდა ანალიზი, რაც იძლევა გარემოსდაცვითი ასპექტების დამატებით, დინამიკაში ანალიზის შესაძლებლობას.

კომპანიის შიდა რეპორტინგი იძლევა საშუალებას მოხდეს პროცესების ანალიზი და მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რაც კომპანიას აძლევს ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობას და შესაბამისად, ბაზარზე კონკურენტუნარიანად დარჩენის შესაძლებლობას. კომპანიის შიდა რეპორტინგი იძლევა საშუალებას მოხდეს პროცესების ანალიზი და მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რაც კომპანიას აძლევს ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობას და შესაბამისად, ბაზარზე კონკურენტუნარიანად დარჩენის შესაძლებლობას.

კომპანიის სამომავლო გეგმები

შპს გებრიუდერ ვაისის ძირითად სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენს

- კომპანიის პოზიციების გამყარება ბაზარზე
- საქართველოს ფარგლებს გარეთ ახალი ბაზრების ათვისება პარტნიორებთან ერთად
- კლიენტების კმაყოფილების გაზრდა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება კონკრეტული ტიპის მომსახურებებზე.

საქართველოს აქვს კონკრეტული უპირატესობა, კავკასიის რეგიონის სამ ქვეყანას საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, ჰაბის ფუნქცია შეასრულოს.

2012 წელს შემოსვლის შემდეგ შპს გებრიუდერ ვაისი ამიერკავკასიის რეგიონის სატრანსპორტო სფეროში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მნიშვნელოვან მოთამაშედ იქცა.

კომპანია გეგმავს გაზარდოს მოქმედების არეალი და აქტიურად შევიდეს ახალ ბაზრებში, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო მიმართულებით, რომლებიც მჭიდრო კავშირშია სატრანსპორტო გადაზიდვებთან. ამ მიზნით, კომპანიამ შეიმუშავა განვითარების გეგმები რამდენიმე ახალი მიმართულებით. ასევე, იგეგმება არსებული სერვისების მიწოდების გაფართოება დამატებით დარგებში, სადაც გებრიუდერი ნაკლებად იყო წარმოდგენილი.

2023-2024 წლების მშენებლობის პერიოდის შემდეგ, 2024 წლის ბოლოს ქ.თბილისში შპს გებრიუდერ ვაისის ახალი ლოგისტიკური ტერმინალი ოფიციალურად გაიხსნა. თანამედროვე ობიექტი ემსახურება, როგორც არსებული მდებარეობის გაფართოებას, ასევე აძლიერებს კომპანიის საოპერაციო შესაძლებლობებს და სერვისების უფრო ეფექტურად მიწოდებას, ხელს უწყობს ახალი კლიენტების მოზიდვას, სერვისებზე

მოთხოვნის ზრდას და კლიენტების კმაყოფილების ამაღლებას.

ახალი ლოგისტიკური ტერმინალი მოიცავს 6,300 კვადრატულ მეტრ ფართობს და მოიცავს როგორც ლოგისტიკურ, ასევე სასაწყობო სივრცეებს, რომლებიც შექმნილია კომპანიის ბიზნესის მზარდი საჭიროებების მხარდასაჭერად.

საქართველოში ავსტრიული კომპანია გებრიუდერ ვაისის ეს სტრატეგიული გაფართოება და დამატებითი ინვესტიცია, რაც დაახლოებით 31 მილიონ ლარს შეადგენს აძლიერებს კომპანიის ყოფნას რეგიონში და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას გრძელვადიან ზრდასა და მომსახურების მიწოდების ეფექტურობაში.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური შედეგების მაჩვენებლები

შპს გებრიუდერ ვაისის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკვირდება და აფასებს კომპანიის მომგებიანობას, რომლის შეფასების ძირითადი კოეფიციენტებია კომპანიის მთლიანი მოგება, ამ უკანასკნელით ფასდება ბიზნესის შესაძლებლობა გაყიდოს დანამატით პირდაპირ დანახარჯებთან შედარებით და EBITDA (მოგება პროცენტების, გადასახადების, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე) რომლითაც ფასდება კომპანიის ფულის გამომუშავების შესაძლებლობა.

2024 წელს შპს გებრიუდერ ვაისის საერთო მოგებამ შეადგინა 24,082,379 ლარი, რაც 10,13%-ით არის გაზრდილი წინა წლის შედეგთან შედარებით, როდესაც საერთო მოგებამ 2023 წელს 21,866,901 ლარი შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია მომხმარებელთა მოთხოვნის გაზრდით.

საერთო მოგების მარჟა 2024 წელს შეადგენდა 22,4%, ხოლო 2023 წელს 20,7%.

კომპანიის შემოსავლების და მომგებიანობის დინამიკა 2024-2023 წლებში:

(ლარი)	2024	2023
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	107,672,652	105,587,867
შესყიდული მომსახურების თვითღირებულება	(83,590,273)	(83,720,966)
საერთო მოგება	**24,082,379**	**21,866,901**
საერთო მოგების მარჟა	***22,4%***	***20,7%***

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

რეალიზაციის მოცულობის ზრდასთან ერთად 2024 წელს საოპერაციო მოგებამ 7,552,948 ლარი შეადგინა,

კომპანიის საოპერაციო მოგება 2024-2023 წლებში:

(ლარი)	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	**107,672,652**	**105,587,867**
შესყიდული მომსახურების თვითღირებულება	(83,590,273)	(83,720,966)
საერთო მოგება	**24,082,379**	**21,866,901**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(12,891,021)	(10,777,486)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,638,410)	(2,966,258)
საოპერაციო მოგება	**7,552,948**	**8,123,157**

2024 წლის შემოსავლების ზრდამ დადებითად იმოქმედა კომპანიის EBITDAზრდაზე.

კომპანიის EBITDA-ს მაჩვენებლები 2024-2023 წლებში:

(ლარი)	2024	2023
საოპერაციო მოგება (EBITDA)	**9,672,966**	**9,877,525**
ცვეთა და ამორტიზაცია	**(2,120,018)**	**(1,754,368)**
EBIT	**7,552,948**	**8,123,157**

კომპანიის საქმიანობის შედეგები 2024-2023 წლებში:

(ლარი)	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	**107,672,652**	**105,587,867**
საოპერაციო მოგება	**7,552,948**	**8,123,157**
საპროცენტო შემოსავალი	77,892	40,221
საპროცენტო ხარჯი	(48,360)	(108,982)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსავალი/(ზარალი)	762,084	(312,494)
მოგება დაბეგვრამდე	**8,344,564**	**7,741,902**
წმინდა მოგება	**8,344,564**	**7,741,902**
წმინდა მოგების მარჟა	**7,7%**	**7,3%**

კომპანიის წმინდა მოგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის შეადგენს 8,344,564 ლარს.

მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, კომპანია ორიენტირებულია კლიენტების რაოდენობის ზრდაზე და ხარჯების ოპტიმიზებაზე.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები

კომპანიის საქმიანობისთვის რელევანტურია შემდეგი სახის რისკები:

- **საკრედიტო რისკი;**
- **ლიკვიდურობის რისკი;**
- **სავალუტო რისკი;**
- **რეგულირების რისკი;**

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვა კომპანიას შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით. დეტალებისთვის იხილეთ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნა. აღნიშნული შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომელთა საშუალებით მართავს აღნიშნულ რისკებს და წარმოადგენს რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები გასულ წლებში იგივე იყო, რაც 2024 წელს არის მოცემული და მას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

კომპანიას 2024 წელს არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები.

კომპანიას 2024 წელს არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, მმართველობით ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 7 მაისს შემდეგი პირების მიერ:

	_____	ა. ხარლამოვი
გენერალური დირექტორი		
ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი	_____	ე. ხუბულური

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, მმართველობით ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 7 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	ა. ხარლამოვი
ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი	_____	ე. ხუბულური